

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შ.პ.ს. „გ.სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტლის“ შემდგომში (ორგანიზაცია) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებზე ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების „მსს ფასს „სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

1. მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე.
2. გონივრულ მსჯელობასა და შეფასებებზე.
3. განცხადებაზე არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

ა. ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე

ბ. ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც შეიძლება ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს სტანდარტების მოთხოვნებს.

გ. სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად..

დ. ორგანიზაციის აქტივების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გასასაჯაროებლად 2024 წლის 15 აპრილს.

ჰოსპიტლის დირექტორი



მთ. ბუღალტერი

გ. ი. ბ.

ამური რევიზილი

ნინო არაბული

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კომპანიის დასახელება: შპს ვ.სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკური
ჰოსპიტალი (ს/კ 202054908)

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1193277	358469	155080
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	75285	107818	91592
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	1496
მარაგები	27972	25165	64701
სხვა	27972	25165	64701
სხვა მოკლევადიანი აქტივები	3318	5161	5385
ძირითადი საშუალებები	2256977	2220518	1400555
სულ აქტივები	3556829	2717131	1718809
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	23267	40921	3640
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	21525	13557	13780
სხვა ვალდებულებები	2492	2492	2492
სულ ვალდებულებები	47284	56970	19912
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3162432	2313048	1351784
გადაფასების რეზერვი	7748	7748	7748
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	339365	339365	339365
სულ საკუთარი კაპიტალი	3509545	2660161	1698897
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3556829	2717131	1718809

ჰოსპიტალის დირექტორი



მთ. ბუღალტერი

ამური რევიზილი

ნინო არაბული

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	1455811	1319523
მომსახურების გაწევიდან	255811	123408
სხვა	1200000	1196115
გაყიდვების თვითღირებულება	-92538	-111610
საერთო მოგება	1363273	1207913
სხვა საოპერაციო შემოსავალი	959289	771180
დასაქმებულთა ანაზღაურება	-957867	-788832
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-150319	-82218
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-105831	-146779
სულ საოპერაციო ხარჯები	-254728	-246649
საოპერაციო მოგება	1108545	961264

ჰოსპიტლის დირექტორი



მთ. ბუღალტერი

ამური რევიზილი


ნინო არაბული

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3162432	2313048	1351784
გადაფასების რეზერვი	7748	7748	7748
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	339365	339365	339365
სულ საკუთარი კაპიტალი	3509545	2660161	1698897
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3556829	2717131	1718809

ჰოსპიტლის დირექტორი



მთ. ბუღალტერი

ამური რევიზილი

ნინო არაბული

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	358469	155080
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	358469	155080
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	358469	155080

ჰოსპიტლის დირექტორი



ამური რევიზილი

მთ. ბუღალტერი

ნინო არაბული

ზოგადი ინფორმაცია

შ.პ.ს. "ვ.სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალი"

დაფუძნებულია ქონების მართვის სამინისტროს მიერ და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 30/10/2007.

იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ.თბილისი, ს.კედლას ქ. N7

დამფუძნებელი: ქონების მართვის სააგენტო (100%) სახელმწიფო წილი

საიდენტიფიკაციო ნომერია 202054908

დირექტორი ამური რევიზილი 3/5 01014004611

შ.პ.ს. „ვ.სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ომის ვეტერანთა სამედიცინო მომსახურება

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შ.პ.ს. „ვ.სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტლის, 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს.



საანგარიშგებო პერიოდი	01.01.2023	31.12.2023
საანგარიშგებო პერიოდი	1113	262
საანგარიშგებო პერიოდი	1210	1193049 26
საანგარიშგებო პერიოდი	1210	1193049 26
საანგარიშგებო პერიოდი	1210	1193049 26

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ნორმატიული აქტების საფუძველზე

1. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“

2. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“

3. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწრმოებისთვის.

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები

ორგანიზაციის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა ლარი.

8-13 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე პირდაპირი მეთოდით.

	ანგარიში	01.01.2023	31.12.2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1110	262	163
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში	1210	358207	1193049,26
სულ ფულადი სახსრები:		358469	1193212,26



3.2. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებიარის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის მომსახურების შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხების შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად.

აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვის ფასის ოდენობით.

3.3 გადახდილი ავანსები

კომპანიის ავანსები წრმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის /მომსახურების შესყიდვის მიზნით და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წინასწარ გადახდილ საოპერაციო ხარჯებს.

3.4 მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით,რომელიც მოიცავს შეძენასთან ტრანსპორტირებასთან სენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს(გარდა საგადასახდო ორგანოების მიერ საწრმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა)

დიზელგენერატორისთვის საწვავის შესყიდვა ხდება კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით და აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად.

3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმები ბასს 16 და მსს ფასს -ის მე-17 განყოფილების შესაბამისად. ძირითადი საშუალებები შემოსავალში აირება თვითღირებულებით,რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს.საიმპორტო საბაჯო გადასახდელებს,არადაბრუნებად გადასახდელებს დატვრთვა გადმოტვირთვის და ტრანსპორტირების მონტაჟის და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს.



ცალკეული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი შესყიდვისთანავე მიეკუთვნება: საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

მცირე ფასიანი ინვენტარი და ნივთები გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს.

3.6 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება საქონლის მოწოდებიდან ან/და მომსახურების გაწევიდან.

3.7. საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებს 31.12.2023 წლისთვის შეადგენს მხოლოდ ის ვალდებულება, რომელიც აისახება პერიოდის ბოლოს: გადასახდელი დღე, რომლის გადახდაც ხდება არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

3.8 გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

ორგანიზაციას გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები არ გააჩნია

3.9 გაუნაწილებელი მოგება ზარალი

ორგანიზაციას კაპიტალში აქვს საქმიანობის შედეგად მირებული გაუნაწილებელი მოგება, რომელიც ასახულია მის ბალანსში. ორგანიზაციას არ გაუცია დივიდენდები



3.10. შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება როდესაც:

ორგანიზაცია მყიდველს გადასცემს მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა სერვისს.

შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა

მოსალოდნელია, რომ მოსალოდნელი ოპერაციიდან ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს.

შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

შემოსავლების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

3.11. ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა აისახება ფინანსური ანგარიშის განმარტებით, 20205 შენიშვნებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში

